



## საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა

---

### საპროცედურო წესები

მიღებულია 2016 წლის 16 ივნისის საინაუგურაციო შეხვედრაზე

#### წესი 1 - შემადგენლობა და წევრობა

1. საქართველო - ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა (სსპ) 412-ე მუხლის, VIII თავის შესაბამისად დაარსდა, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების, კერძოდ კი, 412 (2) მუხლშია გათვალისწინებული. სსპ “გახდება შეხედულებათა ურთიერთგაცვლისა და შეხვედრების ფორუმი და მას ქმნიან ევროკავშირის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მათ შორის ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის წევრები და საქართველოს მხრიდან კი, სამოქალაქო საზოგადოების წევრები, მათ შორის, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო ფორუმის ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლები.”
2. სსპ თითოეული მხარის 9 წარმომადგენლის ან წევრისგან არის დაკომპლექტებული და სამ სექტორს წარმოადგენს - პროფესიულ კავშირებს, დამსაქმებლებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებს. ერთი წლის განმავლობაში, სსპ შეეცდება თითოეულ მხარეს წევრობის იმგვარ შემადგენლობას მიაღწიოს, რომელიც ამ სამ სექტორს შორის ბალანსს ასახავს.

3. ევროკავშირის მხრიდან, სსპ-ში ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის (EESC) სამი წევრი შესაბამისმა ორგანოებმა აირჩიეს, ხოლო დანარჩენი 6 წევრი სამოქალაქო საზოგადოების უმსხვილესმა ევროპულმა წარმომადგენლებმა.
4. ქართული მხრიდან, 9 წევრი წარმოადგენს პროფესიულ კავშირებს, დამსაქმებლებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე, 9 ასოცირებულ წევრს.
5. ორივე მხარეს, სამი სექტორიდან თითოეული თავის წარმომადგენელს დამოუკიდებლად ირჩევს და ამ პროცესში, შიდა პროცედურებით მოთხოვნილ ღიაობის, გამჭვირვალობისა და დემოკრატიის პრინციპებს ეფუძნება.
6. დასაშვებია სსპ-ს წევრები, თუ ასეთი სურვილი არსებობს, იგივე ორგანიზაციებიდან შემცვლელმა პირებმა წარმოადგინონ. ამისთვის, შესაბამისი შეხვედრის გამართვამდე, ისინი თანათავმჯდომარეებსა და სამდივნოს წინსწრებით აცნობებენ ჩამნაცვლებელი პირის სახელს.
7. თითოეული მხარე, ასეთი სურვილის არსებობის შემთხვევაში, უფლებამოსილია სსპ-ს შეხვედრებზე მუდმივმოქმედი დამკვირვებელი დანიშნოს.

## **წესი 2 – ამოცანები და სამოქმედო არეალი**

1. სსპ საქართველო - ევროკავშირის ერთობლივი, სამოქალაქო საზოგადოების საკონსულტაციო ორგანოა, რომლის შექმნაც საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებითაა გათვალისწინებული. მას ეკისრება პასუხისმგებლობა, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ყველა საკითხთან დაკავშირებით, ასოცირების შეთანხმების ხელმომწერ მხარეებსა და შეთანხმებით დაარსებულ ერთობლივ ორგანოებს საქართველო-ევროკავშირის სსპ-ში წარმოდგენილი ორგანიზაციების შეჯერებული პოზიციები და ინტერესები წარმოუდგინოს და მიაწოდოს.
2. სსპ, თავისი საკონსულტაციო ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში, ეხმიანება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით შექმნილ

ასოცირების საბჭოსა და ასოცირების კომიტეტების საკონსულტაციო მოთხოვნებს. საკუთარი ინიციატივით, სსპ ასევე ამზადებს რეკომენდაციებს ასოცირების ორგანოებისა და სხვა პოლიტიკური ინსტიტუტებისათვის.

3. ასოცირების შეთანხმების 413-ე მუხლის თანახმად, სსპ მოქმედებს როგორც სამრჩევლო ორგანო სხვა საერთო ორგანოების მიმართ, რომლებიც ასოცირების შეთანხმებამ დააფუძნა, მაგალითად, ისეთის, როგორცაა ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი. ორივე - ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი და ასოცირების კომიტეტი - სსპ-სთან რეგულარულ ურთიერთობას დაამყარებს, "რათა [ასოცირების] შეთანხმებით გათვალისწინებულ ამოცანათა მიღწევისათვის [მის] შეხედულებებს გაეცნოს".
4. სსპ უფლებამოსილია, პროფესიონალური კომპეტენციის ფარგლებში საკუთარი მოსაზრებები გამოხატოს რჩევების, მოსაზრებების, განცხადებების, წერილებისა და სხვა მსგავსი ფორმით, რომლის შესაბამისობასაც ის თავად წყვეტს.

### **წესი 3 - სხვა მონაწილეები**

1. წევრებისა და ასოცირებული წევრების გარდა, თითოეულ შეხვედრაზე განსახილველი საკითხის მიხედვით, შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოიწვიონ სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციები, ექსპერტები და ევროპული თუ საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლები.
2. ინდივიდუალურ მონაწილეთა სია თანათავმჯდომარეთა მიერ, შეხვედრის დაწყებამდე თანხმდება.
3. თუ სხვაგვარად გადაწყვეტილი არ არის, მოწვეული მონაწილეები სსპ-ს შეხვედრებში მონაწილეობის ხარჯს თავად გაიღებენ.

### **წესი 4 - ექსპერტები**

1. სსპ-ს წევრებს შეუძლიათ სამუშაოების მომზადებისას დასახმარებლად მიმართონ ექსპერტებს. ექსპერტიზის ხარჯის გაღება იმ მხარის პასუხისმგებლობაა, ვინც მათ ჩართვა მოითხოვა.

#### **წესი 5 - თანათავმჯდომარეები**

1. სსპ-ს თითოეული მხარე, წევრებიდან გამოარჩევს და დემოკრატიულად ნიშნავს ერთ თანათავმჯდომარეს.
2. თანათავმჯდომარეები ამზადებენ, კოორდინაციას უწევენ და აორგანიზებენ სსპ-ს მუშაობას, როგორც შეხვედრებზე, ისე შეხვედრებს შორის პერიოდში და თანათავმჯდომარეობენ შეხვედრებს.

#### **წესი 6 – სამდივნო**

1. სსპ-ს თითოეული მხარე სარგებლობს სამდივნოს დახმარებით. ევროკავშირის მხრიდან, ამ ამოცანას ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების სამდივნო იტვირთავს. საქართველოს შემთხვევაში, სამდივნოს შერჩევის საკითხს ქართული მხარე გადაწყვეტს.
2. სსპ-ს თითოეული ერთობლივი შეხვედრის სამდივნო მომსახურებაზე პასუხისმგებელია შეხვედრის მასპინძელი მხარის სამდივნო.
3. სამდივნოს მთავარი ფუნქციაა წევრებისა და თანათავმჯდომარეებისათვის დახმარების გაწევა, სსპ-ს გადაწყვეტილებების გამოქვეყნება, შეხვედრების ლოგისტიკური უზრუნველყოფა, ორ მხარეს შორის მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა და შეთანხმების ერთობლივ ორგანოებთან და მხარეთა პოლიტიკურ ორგანოებთან ურთიერთობა.

#### **წესი 7 - შეხვედრების სიხშირე**

1. სსპ წელიწადში ორჯერ იკრიბება, ევროკავშირში, (EESC-ს ბრიუსელის სათაო ოფისსა) და საქართველოში. საჭიროების შემთხვევაში, შეხვედრათა სიხშირე შეიძლება გადაიხედოს.

#### **წესი 8 - წევრობის ხანგრძლივობის პირობები**

1. ევროკავშირის მხრიდან, სსპ-ს წევრთა და მუდმივ დამკვირვებელთა წევრობის ვადები ორნახევარ წელში ერთხელ განახლდება, რომელიც ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის წევრთა განახლებას დაემთხვევა.
2. სსპ-ს წევრებსა და ასოცირებულ წევრებს უფლება აქვთ, სურვილის შემთხვევაში და მიმდინარე საფუძვლებზე, თავისი ორგანიზაციიდან სხვა პირით საკუთარი თავის ჩანაცვლება ითხოვონ.
3. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი განთავისუფლდა ან ორგანიზაცია შეხვედრებს განმეორებით და არასათანადო მიზეზით აცდენს, თანათავმჯდომარეს უფლება აქვს, სხვა წევრებთან კონსულტაციის შემდეგ, პლატფორმას შესთავაზოს ღონისძიებები, რათა ვაკანტური ადგილი მონაწილეობით დაინტერესებულმა სხვა ისეთმა ორგანიზაციამ შეავსოს, რომელიც იგივე სექტორს მიეკუთვნება, რომელსაც ის ორგანიზაცია, რომლის ადგილიც გამონთავისუფლდა.

#### **წესი 9 – კვორუმი**

1. სავალდებულო კვორუმი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ თითოეული მხრიდან სულ მცირე ხუთი წევრი, ხოლო თითო მხარეს, თითოეული სექტორიდან სულ მცირე, ერთი წევრია წარმოდგენილი.
2. შეხვედრის დაწყებამდე, თანათავმჯდომარე გადაამოწმებს კვორუმს და გამოაცხადებს, საჭიროების შემთხვევაში, კვორუმის ვალიდურობას, იმ არდასწრებათა მიუხედავად, რომლებიც შემდგომ შეიძლება დაფიქსირდეს.
3. თუ კვორუმი ვერ შედგა, თანათავმჯდომარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით სხდომა მაინც დაიწყონ, თუ შეხვედრას თითოეული მხრიდან თითო სექტორის წარმომადგენელი მაინც ესწრება.

## წესი 10 - მუშაობის მეთოდი

1. ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი და ქართული მხარეები შეთანხმდებიან თემატიკაზე, რომელთა თაობაზეც მოსაზრებები იქნება გამოხატული, ან საკუთარი ინიციატივით ან ასოცირების შეთანხმებით დაარსებული ერთ-ერთი ერთობლივი ორგანოს მოთხოვნით.
2. თანათავმჯდომარეები, წევრებთან კონსულტაციის შემდეგ, გადაწყვეტენ მომავალი შეხვედრის დღის წესრიგში შესაყვან საკითხებს, რომლებიც ერთობლივად შეთანხმებული პრიორიტეტების თანმხვედრი უნდა იყოს.
3. დღის წესრიგში შედის საკითხები, რომელთა თაობაზეც ანგარიშები თითოეულმა მხარემ მოამზადა.
4. ამგვარად მომზადებული ანგარიშები შეხვედრაზე წარმოდგენილი და განხილული უნდა იყოს თითოეული მხარის მომხსენებლის მიერ. შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად და დისკუსიაში წვლილის შესატანად, შეხვედრაზე შეიძლება მოიწვიონ ასოცირების შეთანხმებით დაარსებული ერთობლივი ორგანოების წარმომადგენლები.
5. შეხვედრების მიმდინარეობისას, სსპ-ს სამდივნო წარმოადგენს ერთობლივი რეკომენდაციების სამუშაო ვარიანტს, რომლებიც წინასწარ წარმოდგენილ ანგარიშებსა და განვლილ დისკუსიებზე დაყრდნობით შეიქმნა. რეკომენდაციების მიღებისთანავე, სამდივნო მათ გაუგზავნის შეთანხმებით შექმნილ ერთობლივ ორგანოებსა და იმ ნებისმიერ ადრესატს, რომლებიც სსპ-ს მიაჩნია საჭიროდ.

## წესი 11 – განხილვა

1. სსპ გადაწყვეტილებებს იღებს შეხვედრაზე მონაწილე წევრთა შორის კონსენსუსით.
2. კონსენსუსის არარსებობის შემთხვევაში, თანათავმჯდომარეებს უფლება აქვთ, მთლიანი ჯგუფის ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში, ასოცირების საბჭოს გადაუგზავნონ. ინდივიდუალური მოსაზრებები არ გაიგზავნება.

### **წესი 12 – გადაწყვეტილებების საჯაროობა**

1. თუ ეს სსპ-ს სხვაგვარად არ აქვს გადაწყვეტილი, მისი შეხვედრები ღიაა, საპროცედურო წესების 3-ე მუხლის პირობების დაცვით და სსპ-ს ყველა გადაწყვეტილება და რეკომენდაცია საჯაროა.
2. სსპ-ს მიღებული დოკუმენტების გაზიარებაზე პასუხისმგებელია სამდივნო.

### **წესი 13 - დღის წესრიგი**

1. შეხვედრების დღის წესრიგის სამუშაო ვერსია თანათავმჯდომარეთა მიერ, სსპ-ს წევრთა შეთავაზებებზე დაყრდნობით, დგება.
2. თითოეული შეხვედრის დღის წესრიგის სამუშაო ვერსია ეგზავნებათ სსპ-ს წევრებს, საკმარისი დროით ადრე, რათა მათ შენიშვნების გაკეთება მოასწრონ.
3. შეხვედრის დღის წესრიგის სამუშაო ვერსიის მიღება ხდება შეხვედრის დასაწყისში, წევრთა მიერ.

### **წესი 14 – სამუშაო ენა**

1. სსპ-ს სამუშაო ენა, როგორც ზეპირად, ისე წერილობით, იქნება ქართული და დამატებით, ევროკავშირის ერთი ან მეტი ოფიციალური სამუშაო ენა, იმ ენის ჩათვლით, რომელზეც ევროკავშირის მხრიდან თანათავმჯდომარე საუბრობს.

2. იმ დოკუმენტების ავტორები, რომლებიც სსპ-სთვის მუშაობენ, დაწერილ ტექსტებს სამდივნოს საკმარისი დროით ადრე გაუგზავნიან, რათა ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის წესებისა და დროითი რესურსების ლიმიტების შესაბამისად, მათი თარგმნა მოესწროს.

### **წესი 15 - ფინანსური უზრუნველყოფა**

1. თითოეული მხარე გაიღებს აუცილებელ ფინანსურ წვლილს, სამგზავრო და დღიურ ხარჯებს, რათა სსპ-ს შეხვედრებში საკუთარი წევრების მონაწილეობა და სამდივნოს წევრების სამივლინებო ხარჯების დაფარვა უზრუნველყოს.
2. საჭიროების მიხედვით, რომელიც წევრების გამართული ფუნქციონირების მიზანს ემსახურება, ევროკავშირის ოფიციალურ ენებზე სსპ-ს დოკუმენტების თარგმანის ხარჯებს ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი გაიღებს.
3. ქართველი თანათავმჯდომარის მოთხოვნის შემთხვევაში, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტს შეიძლება მოუწიოს სსპ-ს დოკუმენტაციის ქართულ ენაზე თარგმანის ხარჯების გაღება.
4. ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი გაიღებს სათარჯიმნო ხარჯებს (თარჯიმნები და ტექნიკური აღჭურვილობა) სათაო ოფისში ჩატარებული შეხვედრების დროს, მათ შორის ქართულ ენაზე თარგმანის ხარჯებსაც. საქართველოში ჩატარებული შეხვედრების ქართულ ენასა და ევროპულ სამუშაო ენაზე თარგმნის ყველანაირ ხარჯს ქართული მხარე გაიღებს.
5. შეხვედრების მოწყობასთან დაკავშირებულ ყველა სხვა დამატებით ხარჯს მასპინძელი მხარე გაიღებს.

### **წესი 16 - საპროცედურო წესების გადახედვა**

1. ამ წესების შეცვლა შესაძლებელია ქართული ან ევროკავშირის მხარის მოთხოვნით.



2. ამ მიზნით აუცილებელი მოთხოვნის შეთავაზებას, სამდივნოების დახმარებით, თანათავმჯდომარეები აკეთებენ.
  3. საპროცედურო წესებში ცვლილებების შეტანაზე კონსენსუსის გზით გადაწყვეტილებას იღებენ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის წევრები.
-